პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 27 იანვარი, 1990 წელი ● № 5 (2882) ● СУББОТА, 27 ЯНВАРЯ 1990 г.

**მოსკოვში** გაიმართა გარემოს დაცვისა და გადარჩენის მიზნით განვითარების გლობალური ფორუმი, რომლის მონაწილეებს მიმართა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

**19 იანვარს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელიც რესპუბლიკაში და მთლიანად ამიერკავკასიის რეგიონებში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას და აქედან გამომდინარე ოპერატიულ საკითხებს ეხებოდა. თათბირს უძღვებოდა გ. გუმბარიძე. ცნობად იქნა მიღებული, რომ ინტენსიურად გრძელდება საკანონმდებლო აქტებისა და წინადადებების შემუშავება საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის, საქართველოს სს რესპუბლიკაში რეფერენდუმის ჩატარების წესის, რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამსახურის რეორგანიზაციის, მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის დამოუკიდებელი სამსახურის, საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების კონკრეტულ წინადადებათა და სხვა საკითხების შესახებ.

იმავე დღეს გ. გუმბარიძე, ნ. ჩითანავა და ტ. ლორთქიფანიძე იყვნენ შიდა ქართლში და ახალციხის რაიონში.

## სხვადასხვა ინფორმაცია

**22 იანვარს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელების მონაწილეობით. განიხილეს რესპუბლიკის ვითარების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები, ამიერკავკასიის მეზობელ რესპუბლიკებში სიტუაციის მკვეთრი გამწვავების პირობებში მუშაობის ნორმალური რიტმის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომლები იზიარებენ ბაქოში, აზერბაიჯანსა და სომხეთის მთელ რიგ სხვა დასახლებულ პუნქტებში ბოლო დროს მომხდარი ტრაგიკული მოვლენებით გამოწვეულ ტკივილს, წუხან, რომ ყოველივე ამას მოყვა მსხვერპლი.

თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები რესპუბლიკის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ, რომელსაც უახლოეს დროში გადამწყვეტი სტადია დაუდგება.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ღრმად უნდა გააანალიზონ კამპანიის მიმდინარეობა, კანდიდატთა საარჩევნო პროგრამები, არ შექმნან მიკერძოებული დამოკიდებულება ნებისმიერი მათგანისადმი, ვინც გადაწყვიტა ჩაება საარჩევნო ბრძოლაში.

თათბირზე განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

რეპორტაჟი სამხრეთ ოსეთიდან

## მეგობრობა ურყევი უნდა იყოს

**გაზეთ** „მებრძოლი გუშაგის" რედაქციის დავალებით ავტომანქანით ცხინვალისაკენ მივემართებოდი, გაგონილი მქონდა, რომ მდგომარეობა სტაბილიზირებული იყო, მაგრამ მივემგზავრებოდი და ერთი აზრი მაინც არ მასვენებდა, ნუთუ ისევ უნდა გამევლო გორი-ცხინვალის ტრასაზე მოპიკეტე ხალხის ალყა, ნუთუ ისევ უნდა გაეჩერებინათ ჩემი მანქანა და გავესინჯეთ.

გავიარე რამოდენიმე სოფელი და გზაზე არავინ არ შემხვედრია, მოძრაობა ნორმალური იყო. სოფელ ნიქოზიის გადასახვევთან მილიციის რამოდენიმე თანამშრომელი შევნიშნე. მანქანა შევაჩერე. ისინი რთველოსა და იქ მომაგრებული თანამშრომლები მუშაობენ ძირითადად იმ სისხლის სამართლის დანაშაულობებზე აღძრული საქმეების შესწავლა-გამოძიებაზე, რომლებიც ცნობილი მოვლენების დროს მოხდა. რა დასამალია, დღეს ქალაქში ბევრი ჭორი დადის, რომელთა შესახებ სიმართლეს ყოველდღიურად ვაცნობთ მოსახლეობას ადგილობრივი რადიოთი და პრესის საშუალებით.

მანქანით კიდევ ერთხელ შემოვიარეთ მთელი ქალაქი, რამდენიმე სოფელი და გვიხაროდა რომ ყველგან წესრიგი სუფევდა. შებინდებული იყო, როდესაც გორში დავბრ-



წყალტუბოს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების თანამშრომლები აღმოჩნდნენ, რომლებიც აქ მომხდარ მოვლენათა პირველივე დღიდან იყვნენ განწესებულნი. აქვე იმყოფებოდა გორის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი დავით ხაბელაშვილიც, რომელიც სპიტაკში მომხდარი მიწისძვრის პირველივე დღიდან მივლინებული იყო იქ და სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა პირადად გადასცა „საპატიო მილიციელის" სამკერდე ნიშანი. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ცხინვალისაკენ გავუდექი გზას. ქალაქში ხალხმრავლობაა, ყველა თავის საქმეზე მიიჩქარის, ვერსად ნახავთ შეგროვილ ხალხს, ყველგან იგრძნობა შედარებითი სიწყნარე.

— დღეისათვის მთელ ქალაქში და ოლქში სტაბილური მდგომარეობაა,— გვითხრა ქალაქის შს სამმართველოს უფროსმა, მილიციის პოლკოვნიკმა გივი ინჯიამ, — მიუხედავად ამისა რეგიონი მილიციის მუშაკთა კონტროლის ქვეშაა. დღეისათვის მუშაობს უკლებლივ ყველა საწარმო, სკოლები და სკზკვების ობიექტები. დღეს უკვე სამმა-

უნდით და რაიმილიციის განყოფილებას მივაშურეთ. განყოფილების უფროსის, მილიციის პოდპოლკოვნიკის უშანგი მგელაძის კაბინეტში ხალხმრავლობა იყო. აქ როგორც ყოველთვის თავი მოეყარათ შტაბის წევრებს და ანალიზს უკეთებდნენ განვლილი დღის მონაცემებს. აქ ყოველ დილით და გვიან საღამოს ტარდება შტაბის წევრების ოპერატიული თათბირი, სადაც განიხილება შექმნილი ვითარება, კეთდება აქ მიმაგრებული მუშაკების დისლოკაციის კორექტირება.

მილიციის მუშაკთა ბევრმა უძილო ღამემ და როგორც ქართველ ასევე ოს მოსახლეობაში გაშლილმა ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო — დღეს რეგიონში წესრიგია დამყარებული. ჩვენში მაცხოვრებელი ხალხების მეგობრობა, როგორც ადრე ახლაც ურყევი უნდა იყოს და ის ვინც დაარღვევს ამ ტრადიციებს, თესავს ხალხთა შორის შუღლს და სიძულვილს, არ უნდა ცხოვრობდეს ჩვენს გვერდით.

**ბ. მგალობლიშვილი.**

23 იანვარი.



**სურათზე:** შტაბის თათბირზე; სოფელ ნიქოზიის გადასახვევთან არსებულ საგუშაგოზე.

**ავტორის ფოტო.**

## საუბარი გამომცემლობაში

**გუშინ** სამხრეთ ოსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულ ქართული ეროვნების ქალებს, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ვესტიბიულში მართავენ საპროტესტო აქციას ოლქში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, შეხვდა და ესაუბრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი შ. ვ. გორგოძე. მან დამსწრე მოქალაქეებს განუმარტა, რომ დაისახა მდგომარეობის სტაბილიზაციის ტენდენცია. ოლქში არსებულ ვითარებას ფლობენ და აკონტროლებენ საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლები. ანალიზდება მიზეზები, რომლებსაც გასული წლის ბოლოს მოჰყვა ცნობილი ამბები და რომ ქართველმა და ოსმა ხალხმა, სიძნელეების მიუხედავად, თვითონ უნდა შესძლონ შექმნილი მდგომარეობის მშვიდობიანი გზით მოგვარება და ხშირ შემთხვევაში ნათესაურ კავშირებში მჭიდროდ გადაზრდილი ტრადიციული მეგობრობის აღდგენა. ამასთან ყველა საღად მოაზროვნის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნას ამიერკავკასიის მეზობელ რესპუბლიკებში შექმნილი ურთულესი ვითარება, საგანგებო მდგომარეობის შემოღება, ექსტრემისტი ნაციონალისტების მიერ აზერბაიჯანსა და სასომხეთში პროვოცირებული სისხლიანი შეტაკებების მასშტაბი და ტრაგიკული შედეგები. ითქვა, რომ ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა — სამხრეთ ოსეთში მომხდარი ამბების სათანადოდ გამოძიებისათვის, რომ ყველას მოეთხოვება პასუხი და მიეზღვება კანონის მთელი სიმკაცრით.

**ჯ. ანდრიაძე**

МЫ — ИНТЕРНАЦИОНАЛИСТЫ

## ПРИЗЫВ К РАЗУМУ

**В ПОСЛЕДНИЕ** дни в регионах Грузии, где компактно проживают азербайджанцы и армяне, прошли многочисленные митинги в связи со сложившейся обстановкой в Закавказье.

На митингах было сказано, что на протяжении веков на грузинской земле, принявшей в свое время азербайджанцев и армян, никогда не было межнациональных эксцессов.

Митингующие призвали азербайджанцев и армян не подвести грузинских братьев и не втянуть республику в беду.

На днях в Калининском РОВД г. Тбилиси состоялось общее собрание личного состава, на котором было принято Обращение к азербайджанскомоу и армянскому народам.

В Обращении выражены глубокое соболезнование семьям погибших и пострадавших и солидарность с заявлением азербайджанцев и армян, проживающих в нашей республике, о том чтобы своими поступками и действиями не создать новых проблем.

Личный состав Калининского РОВД г. Тбилиси призвал братские народы к разуму, выдержке, спокойствию, скорейшему и окончательному прекращению братоубийственного кровопролития.

## НАЗНАЧЕНИЯ

**ПРИКАЗОМ** министра внутренних дел Грузинской ССР

**НАЗНАЧИТЬ:**

— майора милиции ЧИКОБАВА МУРТАЗА КИКОЕВИЧА исполняющим обязанности начальника отдела внутренних дел Хобского райисполкома, освободив от должности начальника отдела внутренних дел Хонского райисполкома;

— майора милиции ГЕРГАЯ МЕРАБА СЕРГЕЕВИЧА исполняющим обязанности начальника отдела внутренних дел Хонского райисполкома, освободив от должности начальника отдела внутренних дел Хобского райисполкома.

პოზიცია

# ვინ დაიცავს მილიციის ინტერესებს პარლამენტში?

**საბჭოთა** კავშირში მცხოვრები ხალხების საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის, გარდაქმნის გზაზე უთუოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია საარჩევნო სისტემაში კანონით შეტანილი ცვლილებები.

მისი სიკეთის პირველი ნაბიჯების შედეგები ჩვენ უკვე ვიგრძენით სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების არჩევნების დროს, როცა მოსახლეობას საშუალება მიეცა არა მარტო კენჭის ყრისა, არამედ არჩევნებში მონაწილეობისა, რამეთუ მრავალი საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი იყო რამდენიმე კანდიდატურა. თუმცა ვისი „გაყვანაც" ძალიან უნდოდათ იმ ოლქში მხოლოდ თითო კანდიდატურა შესთავაზეს ამომრჩევლებს, რითაც კიდევ ერთხელ შეურაცხყვეს იგი, ხოლო ზოგიერთ უბანში „გასაყვანი" კანდიდატის კონკურენტებმა ბოლო მომენტში მოხსნეს თავიანთი კანდიდატურა, რითაც მწვანე შუქი აუნთეს „ხალხის რჩეულებს". საქმის ასეთი მიდგომის შედეგად მრავალი ღირსეული კანდიდატი დარჩა დეპუტატის რწმუნების გარეშე. საბოლოო ჯამში, ისევ ხალხის ინტერესები დაზარალდა.

უხარვეზო კანონის შექმნა ძალიან ძნელია, მითუმეტეს ჩვენს სახელმწიფოში, სადაც ათწლეულების განმავლობაში ერთაზროვნებას ვუკრავდით ტაშს, მაგრამ ახალი საარჩევნო კანონის დიდ ხარვეზად მიმაჩნია ის გარემოება, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გამოეყოთ დეპუტატთა გარკვეული რაოდენობის „ლიმიტები". ხოლო სახელმწიფო ორგანოებისათვის ასეთი გათვალისწინებული არაა. შედეგად ის მივიღეთ რომ დეპუტატთა კორპუსში აღმოჩნდა თავდაცვის მინისტრის 11 თუ 13 მოადგილე, მრავალი სამხედრო პირი, ხოლო საბჭოთა მილიციას პარლამენტში წარმომადგენლობა თითქმის არ გააჩნდა. თუ სახელმწიფო ორგანოებს და საბჭოთა არმიას განესაზღვრებოდა პარლამენტში ასარჩევი დეპუტატთა რაოდენობა, მაშინ არმიაც, მილიციაც პარლამენტში პროპორციულად იქნებოდა წარმოდგენილი. ნუთუ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლებსაც ქვეყნის პარლამენტში წარმომადგენლობა ყავს. მეტი საზრუნავი, მეტი პრობლემები და ხალხის მომსახურებისათვის მეტი შესაძლებლობანი გააჩნია ვიდრე მილიციას? მაშ რატომ ვერ მოხვდნენ ჩვენი კოლეგები პარლამენტში?

საპარლამენტო ადგილების განაწილება დაბლა რგოლებში ისე გადაანაწილეს, რომ პარლამენტში მრავალი პენსიონერი მოხვდა, რომელთაც გარდა საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნებისა, აღარაფერი აინტერესებთ. ნუთუ ის პენსიონერები ყველა ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს ხაზით იყვნენ არჩეულნი? თუ ასეა მილიციას საშრომელი და საომარი არასოდეს გამოლევია და რატომ ვერ ვიხილეთ დეპუტაციაში ჩვენი ვეტერანები? ერთი სიტყვით სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე საარჩევნო კანონმდებლობას ყურადღებიდან გამორჩა ის ძალები, რომელზე დაყრდნობითაც საბჭოთა სახელმწიფოში უზრუნველყოფილია სოციალისტური თანაცხოვრების წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა, დაცულია საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, პიროვნებისა და მისი ქონების, სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერის ხელშეუხებლობა — ანუ მილიცია (!!!).

ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ სსრ კავშირის პარლამენტში პატარა ხალხების დიდი პრობლემებიც კი ვერ პოულობს სათანადო რეაგირებას. ამიტომ ახლა საქართველოს მილიცია უნდა შეემზადოს იმისათვის, რომ რესპუბლიკის პარლამენტში მაინც წარგზავნოს თავისი საუკეთესო წარმომადგენლობა.

გარკვეული მიზეზების გამო ჩანს კანდიდატებს გამარჯვებისათვის ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლა მოუწევს. გამარჯვება იოლი არ იქნება. წავიდა ის დრო, როდესაც ლამაზ-ლამაზი ლოზუნგებით ვიტყუებდით თავს, როცა მილიციის და ხალხის ერთიანობა იმდენად რეალური გვეგონა, რომ სახალხო რაზმელების დონეზე უნდა დამდგარიყო სახელმწიფოში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენი ერთეული თანამშრომლების მიერ გამოვლენილი გმირობა და ვაჟკაცობა, მშრომელთა ინტერესების ერთგულებისათვის შეწირული სიცოცხლე ხალხს ვერ დაავიწყებს იმ სისასტიკეს, არაადამიანურ მეთოდებს, სახელმწიფოს ინტერესების დამცავი ორგანოების მუშაკთა მოღვაწეობის მძიმე შედეგებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა განვლილ ათწლეულებში სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევების სახით. ჩვენ ახლა ხალხის ნდობა და პატივისცემა დავიმსახურეთ, მაგრამ სიყვარულით კი ნუ დავიტრაბახებთ და ნურც თავს მოვიტყუებთ. ჩვენ ვალში ვართ ჩვენი ხალხის წინაშე და ამ ვალს მოვალეობის უწმინდესად შესრულებით თუ გადავიხდით.

როგორც მოგეხსენებათ ამჟამად არსებული წესით დეპუტატებს თანამდებობის და სკამების მიხედვით აღარ ირჩევენ. აი ახლა ვართ ნამდვილი გასაჭირის წინაშე. მილიციას მრავალი პრობლემა დაუგროვდა, გვაკლია სამართლებრივი და სოციალური დაცულობა, გვესაჭიროება მეტი მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, ყოველივე ამ დეფიციტის შევსებისათვის საჭირო იქნება მძიმე პარლამენტური ბრძოლა და იბადება კითხვა: ვის შეუძლია გაიმარჯვოს არჩევნებში და ვინ დაიცავს ჩვენს ინტერესებს რესპუბლიკის პარლამენტში? მოდით შევარჩიოთ საუკეთესოთა შორის საუკეთესო დეპუტატობის კანდიდატები.

**რ. ბრიგალაშვილი,**
**ქ. თბილისში სსრკ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა დაცვის ცალკე დანაყოფის მეთაური, მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

# გაიხსნა დაცვის განყოფილება

**ყაზბეგის** შს რაიმილიციაში მუშაობა დავიწყე 1987 წელს ამავე წელს გადავედი დუშეთის რაიონის დაცვის განყოფილებაში ყაზბეგის ბანკის მორიგედ, ვინაიდან ყაზბეგში მსგავსი სამსახური არ ფუნქციონირებდა.

რა თქმა უნდა დუშეთიდან გვამოწმებდნენ და ყურადღებას გვაქცევდნენ, მაგრამ ზამთრის პერიოდში უჭირდათ ყაზბეგში გადმოსვლა და ჩვენი შემოწმება.

დადგა დრო, როდესაც ყაზბეგში უნდა გახსნილიყო დაცვის განყოფილება და გაიხსნა კიდეც. განყოფილების უფროსად დაინიშნა ახალგაზრდა კაცი მილიციის ლეიტენანტი კოტე შაბურიშვილი, რომელიც პირველი დღიდანვე შეუდგა თავის საქმეს. ბანკის თანამშრომლებთან ერთად ჩაგვიტარა თათბირი, შეგვიდგინა გრაფიკი. ხდება ყველა ჩვენგანის საშვების შემოწმება-გაცემა, გვიტარდება ყოველ ორ კვირაში ერთხელ თათბირი ან გასაუბრება. ერთი სიტყვით კალაპოტში ჩაგვაყენა.

ყველანი, როგორც ჩვენი ბანკის მორიგეები და თანამშრომლები ასევე ის ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც უკვე გადავიდნენ ან გადადიან დაცვის სისტემაზე მადლობელნი ვართ შაბურიშვილისა, რომელსაც ვუსურვებთ წარმატებას და წინსვლას სამსახურებრივ მოღვაწეობაში და პირად ცხოვრებაში.

**ვ. ტუჩაშვილი,**
**მილიციის სერჟანტი.**

# „წითელ" ხიდთან

**შეუძლებელია** დიდი ტკივილის გარეშე მოვისმინოთ და წავიკითხოთ იმ ტრაგიკული მოვლენების შესახებ, რაც აზერბაიჯანში და სომხეთში ხდება. შექმნილი მდგომარეობა დიდ შეშფოთებას იწვევს ჩვენი რესპუბლიკის მაცხოვრებლებშიც, რომელთა შორისაც ქართველების შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი მეზობელი რესპუბლიკების ეროვნებათა წარმომადგენლები არიან...

რედაქციის დავალებით მივემართებით ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზღვრების შესაყარისკენ — „წითელი" ხიდისკენ. მთელი გზის მანძილზე აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში, გარდაბნისა და მარნეულის ქუჩებში გამოფენილია გლოვის აღმნიშვნელი შავი დროშები. რუსთავის შესასვლელთან შევხვდით გარდაბნის საგზაოსაპატრულო სამსახურის ქვედანაყოფის უფროსს, მილიციის კაპიტან ჯ. ნიჟარაძეს, რომელმაც გვითხრა, რომ ამ ხნის მანძილზე ადგილი არ ჰქონია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არც ერთ შემთხვევას, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდა სამგლოვიარო მიტინგები. აქვე გვინდა ვთქვათ, რომ ერთ უცნაურ „დარღვევას" მაინც ჰქონდა ადგილი. როდესაც ავტოინსპექციის თანამშრომლებმა ჩვენი ფოტოკორესპონდენტი დაინახეს ირგვლივ შემოგვეხვივნენ და სინანულით გვითხრეს: ფოტოაპარატი რომ გვქონოდა იმ მფრინავ ობიექტს აუცილებლად გადავიღებდითო... მათი მონაყოლიდან გავიგეთ, რომ ღამით, დაახლოებით სამის ნახევარზე, 500 მ სიმაღლეზე შენიშნეს მფრინავი აპარატი, რომელიც როგორც გვითხრეს საცხოვრებელი სახლის სიდიდისა და ფორმის იყო, ილუმინატორებით განათებული უხმაუროდ მოძრაობდა და ცეცხლოვან კვალს ტოვებდა....

— ორი კვირაა გზატკეცილზე ვმორიგეობთ, — გვეუბნება ავტოინსპექციის სპეცდანაყოფის მეთაური, მილიციის კაპიტანი ს. ბარამიძე, — და ამ „დამრღვევის" გამოჩენით გამოწვეულ აღელვებას თუ არ ჩავთვლით, აქ სრული სიმშვიდეა. რთული საყოფაცხოვრებო პირობების მიუხედავად ჩვენს თანამშრომლებს შეგნებული აქვთ თუ რა საპასუხისმგებლო უბანზე უწევთ სამსახური და ყველაფერს აკეთებენ რათა არ დაირღვეს ეს სიმშვიდე.

**ა. მალაიანცი.**

25 იანვარი.

* * *







**სურათზე:** რუსთავის შესასვლელთან; „წითელი" ხიდის მიდამოებში გაორკეცებული ყურადღებით არეგულირებენ მოძრაობას ავტოინსპექციის თანამშრომლები.

**გ. ბურამიშვილის ფოტო.**

ОБСУЖДАЕМ ИТОГИ ГОДА

# БОЛЬШЕ НАСТУПАТЕЛЬНОСТИ

**Во всех подразделениях, службах органов внутренних дел республики сейчас проходят совещания, на которых подводятся итоги проделанной работы за 1989 год, намечаются конкретные мероприятия на 1990. Одно из таких совещаний недавно прошло в МВД Аджарской АССР, материалы которого мы предлагаем нашим читателям.**

**ПРОГНОЗ,** как и следовало ожидать, подтвердился — год закончился ростом общей преступности на 6,1 процента. По линии уголовного розыска он составил 14,3 процента, что на 64 единицы больше прошлогоднего периода. Тяжкие преступления выросли на 39,1 процента, из 69 в 1988 году достигли 96 в 1989. Увеличилось и число умышленных убийств, как и умышленных тяжких, телесных повреждений, изнасилований, злостного хулиганства.

Кража личного имущества по-прежнему занимает приоритетное положение, рост ее достиг 34,1 процента, в том числе одна треть — квартирные кражи. Значительно, на 48,4 процента, больше стало и краж государственного имущества. И вместе с тем отмечается снижение таких видов преступлений, как поджоги, карманные кражи, менее тяжкие телесные повреждения, мелкое хулиганство, угон автотранспорта, мошенничество и некоторых др.

Наибольший рост общей преступности приходится на Кедский район — 46,6 процента, в Батуми он составляет 6,9, в Шуахевском районе — 8,6 процента, в Кобулетском и Хулойском районах отмечается ее снижение.

Обоснованную озабоченность вызывают преступления несовершеннолетних. Особенно неприглядная картина в этом отношении в Батуми, активизировалась борьба с изготовлением и сбытом наркотических средств.

Примерно на два процента возросло количество выявлений, связанных с посягательством на социалистическую собственность, хищений государственного и общественного имущества в особо крупных размерах, фактов спекуляции, обмана покупателей, злоупотреблений властью и служебным положением. Однако надо отметить и то обстоятельство, что наступательность борьбы с этими негативными явлениями явно недостаточна.

По-прежнему неспокойно на дорогах и перекрестках. Дорожно-транспортных происшествий было 105, стало 108, при этом на 11 случаев больше со смертельным исходом. Их рост отмечался в городах Батуми и Кобулети.

Осложнилась обстановка и в общественных местах. Увеличилось число преступлений, совершенных в нетрезвом состоянии (94) и на 14 процентов больше отмечено лиц за нарушение антиалкогольного законодательства.

Увеличилось количество пожаров на объектах народного хозяйства и промышленности. А вот рост пожаров в жилом секторе сократился. Возникновение пожаров связано с неправильным эксплуатированием электронагревательных приборов или же оставлением печей без присмотра. Надо подчеркнуть, что сложившаяся оперативная обстановка в 1989 году была бы лучше, если общественность и трудовые коллективы проявляли больше наступательности, бескомпромиссности в отношении виновных.

В новом году органами внутренних дел автономной республики будут осуществлены меры, направленные на перестройку оперативно-служебной деятельности с целью максимального обеспечения законности и правопорядка, гарантий охраны прав и интересов личности, общества и государства.

**М. БЕЖАНИДЗЕ,**
**полковник милиции, министр внутренних дел Аджарской АССР.**

# БУДЕМ ПОМНИТЬ ИХ ИМЕНА...

**Острой болью отозвалась на днях в сердцах всех сотрудников органов внутренних дел, всех жителей нашей республики трагическая весть о гибели при исполнении служебных обязанностей сотрудников Очамчирского РОВД майора милиции Нугзара Джобава и лейтенанта милиции Зураба Нармания. Больно и горько писать об этом, но надо. Надо, хотя бы для того, чтобы люди знали, какой ценой бывают порой оплачены их покой и безопасность...**

**ИНФОРМАЦИЯ** о подозрительных людях, скрывающихся в одной из пещер безлюдной горной местности близ села Пирвели Бедиа была получена в Очамчирском РОВД 18 января. Для проверки полученных данных и, в случае необходимости, захвата преступников, была создана оперативная группа, в состав которой вошли сотрудники райотдела ОУР МВД Абхазской АССР и бойцы внутренних войск.

В ночь с 18 на 19 января группа, совершив скрытно 7-километровый переход, блокировала вход в пещеру, где могли находиться неизвестные. На рассвете члены группы, соблюдая все меры предосторожности, осуществили осмотр пещеры, но никого там не нашли. Тем не менее вся обстановка в ней — пища, одежда, привязанный краденый бычок и др. — указывала на совсем недавнее пребывание здесь людей. Для их обнаружения была прочесана местность в радиусе нескольких километров, но и это не дало результатов.

Около 16 часов в связи с приближением темноты было решено прекратить операцию. Основная часть опергруппы и войскового наряда была переброшена в Очамчире и Ткварчели вертолетом, а шесть человек во главе с начальником Очамчирского РОВД майором милиции А. Барамия ввиду наступления темноты и опасности взлета должны были вернуться самостоятельно. По дороге они решили зайти в дом жителя села Пирвели Бедиа ранее дважды судимого за скотокрадство А. Нармания, у которого, по имеющимся сведениям, могло храниться незарегистрированное огнестрельное оружие.

После длившихся почти час переговоров им удалось склонить хозяина дома к добровольной сдаче имевшегося у него двухствольного ружья. На требование выдать и боеприпасы А. Нармания сказал, что они находятся в коровнике. Для их изъятия вместе с ним направились З. Нармания, Г. Гурцкая и О. Харчилава. Все дальнейшее произошло в считанные секунды.

Когда сотрудники милиции приблизились к коровнику, из темноты неожиданно раздался выстрел, которым был смертельно ранен в область головы З. Нармания. Второй выстрел сразил выскочившего из дома на помощь товарищам Н. Джобава. Сотрудники милиции залегли и открыли ответный огонь, затем через некоторое время прочесали близлежащую местность и строения, но никого там не обнаружили. Тем не менее преступнику не удалось уйти.

После поступления сообщения о случившемся. по тревоге был поднят личный состав Очамчирского и Гальского РОВД, Ткварчельского ГОВД, МВД Абхазии, прибывшими силами уже через час была блокирована вся окружающая местность. Ближе к рассвету после тщательного осмотра места происшествия были обнаружены следы крови — видимо преступник был ранен. Пойдя по этому следу, сотрудники милиции вскоре обнаружили и задержали его в доме одного из жителей на окраине села. У раненного в руку преступника было изъято охотничье ружье с патронами. Преступник назвался вымышленной фамилией, но благодаря принятым мерам вскоре была установлена его личность — им оказался Петр Прунчак, ранее четырежды судимый, разыскиваемый за захват огнестрельного нарезного оружия в г. Красноярске, покушение на убийство и вооруженные нападения с применением этого оружия в г. Адлер.



Конечно, преступник вскоре предстанет перед судом и понесет за свое злодеяние заслуженную кару, но больно осознавать, какой ценой удалось его обезвредить. Ведь погибли совсем еще молодые, полные сил и энергии отличные парни. Нугзару Джобава едва исполнилось сорок, совсем недавно отметил свое двадцативосьмилетие Зураб Нармания. По-разному складывались их биографии, непохожими были и их характеры, но объединяло их одно — честное и добросовестное отношение к служебным обязанностям, самоотверженность и бесстрашие при выполнении профессионального долга.

Без малого два десятка лет прослужил в ОВД республики Нузгар Джобава, причем большую часть из них — в уголовном розыске. В разное время работал инспектором ОУР МВД Абхазии, оперуполномоченным Новокиндгского отделения милиции, начальником ОУР Гальского РОВД, а с ноября 1989 года — начальником ОУР Очамчирского РОВД, где и начинал свою оперативную деятельность. Живой, задорный, энергичный по характеру, он как нельзя лучше соответствовал своей профессии, требующей решительности, находчивости, большого личного мужества. Лидер по натуре, он всегда и во всех делах старался быть первым, особенно там, где опасно, мог в одиночку пойти на задержание целой группы преступников, что бывало не раз, и не случайно, что за годы службы он более двадцати раз поощрялся приказами МВД ГССР и МВД Абхазской АССР, был награжден нагрудным знаком «Отличник милиции», медалями «За безупречную службу» II и III степеней. Примечательно, что практически все поощрения были связаны не с разного рода юбилеями и праздничными датами, а получены за конкретные дела, о чем говорят хотя бы их формулировки, наиболее характерные из которых звучат так: «...за грамотную организацию и умелое проведение оперативно - розыскных мероприятий.., за проявленную смелость, находчивость по установлению и разоблачению особо опасных преступников...».

— Бескомпромиссность в отношении к правонарушителям в Нугзаре удачно сочеталась с добродушностью и открытостью характера, отзывчивостью, готовностью всегда помочь людям и словом, и делом, даже взять на себя вину товарища за какой-либо проступок, — говорили заместитель начальника Очамчирского РОВД капитан милиции В. Шевченко, следователи капитаны милиции Л. Маргания и О. Берулава, да и все те сослуживцы, с которыми довелось беседовать. — Он был настоящим примером для молодых, неопытных сотрудников, рядом с ним любой готов был пойти на самое опасное дело, зная что Нугзар не подведет, не дрогнет перед опасностью, поддержит если надо... Он вообще не умел давать задний ход...

Из всех по-человечески трогательных и теплых слов о нем больше всего запомнилась эта последняя фраза «не умел давать задний ход...». Сказанная в разное время совершенно разными людьми она в устах этих видавших виды знатоков своего дела звучала как высшая оценка



степени личного мужества и профессионального мастерства бойца уголовного розыска..

Мог ли он в ту роковую ночь поступить иначе? Ведь можно было наверное проявить осторожность, осмотреться, прежде чем безоглядно бросаться навстречу опасности. Легко, конечно, рассуждать об этом в спокойной обстановке, ну а тогда, когда на размышление времени не оставалось, он среагировал мгновенно, и, схватив автомат, бросился на помощь товарищам. И в этом простом и естественном порыве, как в капле воды, отразилась вся его жизнь, все существо его характера...

В отличие от своего старшего товарища Зураб Нармания был более ровен и выдержан по характеру, но несмотря на молодость со своими непосредственными обязанностями также справлялся весьма успешно, о чем свидетельствуют многочисленные поощрения приказами МВД Абхазской АССР и МВД СССР, почетная грамота за победу в соцсоревновании. Если учесть, что все это только за несколько лет службы, то можно понять, почему так высоко ценили и уважали его в родном коллективе.

— После окончания Новосибирской школы Зураб был назначен на должность участкового инспектора и быстро заслужил уважение среди населения обслуживаемых сел Члоу, Отапи, Тхина, Моква. что с учетом специфики данной работы для молодого парня было очень непросто, — рассказывает заместитель начальника Очамчирского РОВД по политчасти майор милиции А. Эхвая. — Только в прошлом году при его участии было раскрыто 8 преступлений, в том числе дело об убийстве военнослужащих ВВ Новикова и Акопова, им лично изъято у населения 40 единиц охотничьего оружия и 6 нарезного. Всегда подтянутый, вежливый, отзывчивый и исполнительный — таким он останется в памяти сослуживцев, всех, кто знал его. «Поймите, не потому говорим о них только хорошее, что они погибли, а потому, что плохого о них и сказать нечего, — такие это были ребята...», — подчеркивали все мои собеседники.

Таких непохожих по характерам людей Нугзара и Зураба объединяло и еще одно важное качество — большая личная скромность. За свою трудную и опасную работу они не требовали каких-либо привилегий, даже в обеспечении элементарными бытовыми условиями. Нугзар Джобава с женой и тремя маленькими дочерьми Ириной. Нино и Нуну жил (даже както неловко об этом писать), в железнодорожном вагончике. Зураб Нармания жил вместе со всеми своими близкими довольно далеко от работы в старом маленьком доме в своем родном селе Агубедиа. Семьей обзавестись не успел, но совсем скоро, буквально на днях должна была состояться его свадьба. Сколько прекрасных планов хороших дел было в один миг перечеркнуто безжалостной бандитской рукой...

Сейчас сотрудники Гальского и Очамчирского РОВД. МВД Абхазии обязались шефствовать над детьми Нугзара Джобава, с помощью партийных и советских органов решили в ближайшее время обеспечить их жильем, оказывать всевозможное внимание и семье Зураба Нармания.

Траурными будут в Очамчире эти суббота и воскресенье, когда состоятся похороны бесстрашных бойцов правопорядка. Уверен, не только товарищи по оружию, но и все население города, и стар, и млад придут на эти похороны почтить память этих отличных парней, не раз заслонявших собой своих сограждан от опасности, не умевших давать задний ход. И жить этой памяти вечно..:

**А. ЦАТУРОВ.**

# მდგომარეობა საგანგაშოა

**რესპუბლიკაში,** ისევე როგორც საკავშირო მასშტაბით, გასულ წელს მეტისმეტად დაიძაბა ოპერატიული ვითარება. საავტომობილო გზებსა და ქუჩებში მოხდა 2621 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რასაც 797 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 3070 კი მძიმედ დაშავდა.

1988 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 225 ერთეულით იმატა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვმა, გარდაიცვალა 129 ადამიანით მეტი, ხოლო დაშავებულთა რაოდენობა 269 ერთეულით გაიზარდა.

შემთხვევათა ყველა ძირითადი მაჩვენებლები გაიზარდა თბილისში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, თელავის, გორის, გურჯაანის, ვანის, ცაგერის, ასპინძის, ზუგდიდის, კასპის, წალკისა და სხვა რაიონებში.

ყველაფერი ეს ძირითადად იმის პირდაპირი შედეგია, რომ სახელმწიფო ავტოინსპექციის ზოგიერთ დანაყოფებში ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ სადღეისო მოთხოვნების დონეზე, ბევრგან არ იგრძნობა, რომ სათანადო დასკვნები გააკეთეს განვლილი პერიოდის გამოცდილებიდან. ცხადია, რომ ყოველმხრივ შესწავლილ უნდა იქნეს ავარიის გამომწვევი მიზეზები, ფართოდ და საჯაროდ მოხდეს მათი განხილვა, რადგან საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი დაინტერესების გარეშე ძალზე გაძნელდება ამ საქმეში არსებითი გარდატეხის შეტანა. მეტად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გასულ წელს ტრადიციისამებრ რესპუბლიკის ქუჩებსა და საავტომობილო გზებზე მოძრაობის წესების მილიონზე მეტი დარღვევა აღირიცხა. შემაშფოთებელია ეს სტატისტიკა. მაგრამ აღნუსხული დარღვევა, როგორც იტყვიან, ნახევარი უბედურებაა, მთავარი და ყველაზე საშიში სწორედ ის დარღვევები გახლავთ, რომელთა აღკვეთას ვერ ახერხებს და ვერ ასწრებენ ავტოინსპექციის მუშაკები.

კვლავ დიდ სირთულეებს ქმნის სახელმწიფო ტრანსპორტის არარითმული მოძრაობაც. აქ იგულისხმება ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებში არსებული დისციპლინა. პროფესიონალ მძღოლთა პასუხისმგებლობა, მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მდგომარეობა და სხვა ის ასპექტები, რომლებიც უშუალო ზეგავლენას ახდენენ გზებზე შექმნილ ოპერატიულ ვითარებაზე.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ავტოტრანსპორტის ინდივიდუალურ მფლობელთა დიდი უმრავლესობის საგზაო დისციპლინაც. სწორედ ამ კატეგორიის მძღოლთა მიერ წესების დანაშაულებრივმა უგულებელყოფამ განვლილ პერიოდში 1511 ავტოავარია გამოიწვია. აღნიშნულმა შემთხვევებმა 448 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 2011 კი მძიმედ დაშავდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის მეტად სავალალო და სამარცხვინო გარემოებაც, რომ ბევრი მძღოლი ჯერ კიდევ ვერ შეელია უაღრესად მანკიერ და საშიშ ჩვეულებას — ავტოტრანსპორტის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვას.

შექმნილ მდგომარეობას ისიც უქმნის დამატებით სიძნელეებს, რომ გზების მდგომარეობით კვლავაც ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე ვართ რესპუბლიკებს შორის, არ გაგვაჩნია ბავშვების წესებისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, საბავშვო ავტომოედნები, ავტოდრომები, თავად სახელმწიფო ავტოინსპექციის აღჭურვილობაც მეტად ღარიბია.

მიუხედავად ასეთი შემაშფოთებელი ვითარებისა, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემამ ჯერ კიდევ ვერ მიიქცია საზოგადოების სათანადო ყურადღება. ეს კი უეჭველად უნდა გაკეთდეს, რადგან უამისოდ ვერ გადავჭრით მეტად რთულ და მძაფრ პრობლემებს, არადა ავტომობილი თანდათან უფრო დაემუქრება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

**რ. იანტბელიძე,**
**საქ. სსრ შსს სახავტოინსპექციის სამმართველოს პროპაგანდისა და აგიტაციის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.**



**ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР**

# Организованная преступность в США

**РОСТОВЩИЧЕСК И М И** операциями занимаются обычно организации с иерархической трехъярусной структурой, в которой на верхней ступеньке стоит финансист или босс, на средней — администраторы, на нижней — собственно ростовщики (акулы). Клиенты прибегают к их услугам, как правило, в момент безвыходного финансового положения. Но вскоре начинают понимать, что из клиентов превратились в жертвы. Если должники не могут выплачивать проценты, возникает опасность для них самих и их семей. Одним из излюбленных приемов большинства ростовщиков в отношении должников, которые больше не могут платить проценты, — предложение простить долг или проценты за определенный пай в деле клиента. Когда это происходит, клиент в большинстве случаев остается разоренным. Нередко неплатежеспособного клиента понуждают совершать преступные действия, чтобы расплатиться с ростовщиком. Ростовщительство порождает в результате принуждения к уплате особенно отвратительные преступления: нападения, похищения детей, покушения на убийство, оскорбление действием и убийства. Однако наибольшую угрозу для общества представляет использование ростовщительства для проникновения в легальный бизнес.

Одним из источников дохода организованной преступности являются кражи и скупка краденого. Технические усовершенствования в области копирования грампластинок, магнитных лент, видеолент и кинофильмов привели к развитию совершенно новой индустрии организованной преступности: пиратству в области грампластинок, магнитных звуко- и видео лент и фильмом. Эти предметы развлечения легально приобретаются, нелегально копируются, снабжаются поддельными этикетками и упаковкой, а затем продаются как подлинные. Продолжающийся рост применения систем хранения и поиска информации на базе ЭВМ привел к увеличению причастности организованной преступности к кражам с помощью компьютера и родственному бизнесу.

Растущую озабоченность общества США вызывает стремление организованной преступности завоевать позиции в легальном бизнесе, прибегая к различным тактическим приемам, по большей части мошенническим и насильственным. Этот интерес организованной преступности имеет несколько аспектов.

Обладание легальным деловым предприятием позволяет функционеру, занимающемуся рэкетом, приобрести уважение в деловых кругах и учредить легальный источник денежных средств, с которых можно уплачивать достаточные налоги, чтобы избегать судебного преследования за уклонение от уплаты подоходного налога.

Нередко дело, прибранное к рукам организованной преступностью, может использоваться для крупного мошенничества в таких сферах, как земельные сделки, ценные бумаги, потери кредитных карточек, для организации злостных банкротств, инсценировки поджогов, краж для получения страховки и др.

(Начало в № 4).

(Окончание следует).

# ПЕРВЫЙ СЛУЧАЙ В ИСТОРИИ...

**УЖЕ БОЛЬШЕ** недели любители тенниса с интересом ждут сообщений из Мельбурна, где проходит открытый чемпионат Австралии. У этого турнира давняя история. Мужчины разыгрывают почетный приз с 1905 года. Спустя 17 лет дебютировали в соревнованиях и женщины.

Успешно выступают на австралийских кортах советские теннисисты: в одиночном разряде уфимец А. Черкасов вышел в четвертьфинал. Вышли в третий круг парных соревнований советские дуэты Н. Зверева — Л. Савченко и Л. Месхи — Н. Медведева. Кстати в одиночном разряде Лейла Месхи в третьем круге уступила Ш. Граф — первой ракетке мира, показав при этом хорошую игру.

Но ни один крупный международный теннисный турнир не обходится без сенсаций и драм, не стало исключением и открытое первенство Австралии. Жертвой драмы во второй день соревнований стала вторая ракетка планеты аргентинка Г. Сабатини—во время встречи с К. Порвик из ФРГ она упала и ей пришлось покинуть корт на кресле с колесиками.

Ну, а во второй драме жертвой стал американец Д. Макинрой, который известен всему миру не только высочайшим мастерством владения ракеткой, но и, мягко говоря, необузданным характером. На мельбурнском корте это его второе качество проявилось в полном «блеске». Во встрече со шведским теннисистом М. Пернфорсом он, чем-то недовольный, швыряет ракетку наземь. Судья делает ему замечание. Макинрой решает выяснить с ним отношения, прибегая при этом к брани. Макинрой был дисквалифицирован впервые в истории подобных турниров и оштрафован на 6.500 долларов.

**А. МАЛАЯНЦ.**

სხვა დროს არ დავკვირვებულვარ, ახლა კი ზურაბ დარჩიას საუბრის მანერამ ხარკოვში ნახსენები კაცი გამახსენა: „ასე შუა ხნის კაცია, ჩადგმული აღნაგობის, შავგვრემანი. შავი ულვაშებით, გადაბმული წარბებით. თვალში საცემი და რაიმე დასამახსოვრებელი არა ჰქონია ეს კია, რომ ოდნავ ჩქარა ლაპარაკობს“. — ის არის ნამდვილად ის არის — გავიფიქრე გონებაში... თანაც ვინ იყო ქალბატონ მარგოს მიერ სასაფლაოზე ნანახი ვიღაც ფორმიანი კაცი. კვლავ სმა გავაგრძელეთ. მე რაც შემეძლო თავს ვიმთვრალებდი. ბოლოს ძილი მოვიგონე. თავი ჩავკიდე და მაგიდაზე ჩამოვდე. — ბატონო ოთარ, ბატონო ოთარ! — მკლავზე ხელის მოკიდებით შემანჯღრია ზურაბმა. მე ხმას არ ვიღებდი. ზურაბმა კიდევ ერთხელ სცადა, რომ გამოვეღვიძებინე. და და რამდენიმე წუთს რაღაცას დაძაბული ფიქრობდა.

— რას აპირებთ? — ჩაეკითხა ალექსანდრე.

— ახლავე შეიტყობ, — მიუგო ოთარმა და ალექსანდრეს საწოლი ოთახიდან გადასატანი ტელეფონი შემოიტანა. ტელეფონის ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა: ამხანაგო პოლკოვნიკო, მაპატიეთ რომ ასეთ უდროო დროს ვარღვევ თქვენს მყუდროებას, მაგრამ საქმის სიტუაცია მაიძულებს. მე მაიორი ოთარ ხომერიკი გახლავართ. მე და ალექსანდრე ფანცხავა ხუთ წუთში თქვენს ბინაში ვიქნებით. გთხოვთ ჩვენს მოსვლამდე არაფერი მოიმოქმედოთ, თქვენდამი დაქვემდებარებულ შინაგან საქმეთა განყოფილებაში ნუ დარეკავთ, რადგან ამან შეიძლება ყველაფერი წაახდინოს. გამოუძახეთ თქვენს მოადგილეს არჩილ

**გ. თოფურია**

# განსხვავებული ცრემლები

— მიიღო უფალმა! — ჩაილაპარაკა დავითმა, — რას უყურებ მომეხმარე. უკვე დროა, მანქანაში! — ჩამჰიდეს აქეთ იქედან ხელი და მანქანაში ჩამსვეს. მე რაღაცა წავიბურდღუნე და მანქანის უკანა საჯდომის საზურგეზე თვალებდახუჭულმა გადავდე თავი. გვერდით ზურაბი მომიჯდა. დავითი საჭეს მიუჯდა და მანქანა ადგილიდან დაძრა. — ბატონო ოთარ, — სიფრთხილისათვის ერთხელ კიდევ შემეხმიანა ზურაბი მანქანაში. მე არაფერი ვუპასუხე ერთი სული მქონდა გამეგო რა ჰქონდათ ჩაფიქრებული. ეკის ქუჩაზე რომ შემოვუხვიეთ ვიგრძენი როგორ ამომაცალა ზურაბმა ჯიბიდან გასაღებები, რევოლვერი იღლიაში მქონდა სამაგრით დამაგრებული, მაგრამ მისი ამოცლა არც უცდიათ. სახლთან მომიყვანეს და ბევრი ვაი-ვაგლახით მანქანიდან გადმომსვეს, კიბემდე მომაცილეს და თვითონ უკან გატრიალდნენ. იმათი წასვლის შემდეგ, დაახლოებით ერთი ათ წუთს მაინც იქეთ-აქეთ ვაწყდებოდი კიბეს, თან მთელი მონდომებით ვზვერავდი შენი ეზოს ჭიშკრის მისადგომებს, ხომ არ მითვალთვალებენ-მეთქი და როცა დავრწმუნდი, რომ არავინ მითვალთვალებდა მაშინღა შემოვედი სახლში. — მე ისე ვიყავი წიგნის კითხვით გართული, რომ მართალი გითხრათ არაფერი გამიგია, — მოიბოდიშა ალექსანდრემ — ჩემი აზრით, ყველაფერი თავის ადგილას დგება. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი.

— ყველაფერს გავარკვევთ ჩემო ალექსანდრე. მთავარი და გადამწყვეტი ამ ღამეს და ხვალ უნდა მოხდეს, რადგანაც წრე თითქმის შეიკრა. დიდი სიფრთხილე გვმართებს, ყველაფერია იმათგან მოსალოდნელი. სრულიადაც არ მეპარება ეჭვი, რომ მილიციის უფროსის კაბინეტში ჩემს სეიფს ისინი ამაღამვე გაალებენ და ჩემს მიერ შეკრებილ ყველა ცნობას და საბუთს გულდასმით გაეცნობიან.

— ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა...

— მომითმინე მერე გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი — უთხრა ოთარმა, მაგრამ ტელეფონის ყურმილის აღებას არ ჩქარობდა. კვლავ გაისმა ტელეფონის ზარი, მაგრამ ყურმილი არც ამჯერად აიღო.

— ნეტავი ვინ უნდა იყოს ამ შუაღამისას?! — გაკვირვებით იკითხა ალექსანდრემ.

როცა ტელეფონის ზარმა მესამედ დარეკა, მხოლოდ მაშინღა მისწვდა ყურმილს. და მთვრალი კაცის ინტონაციით ჩასძახა. — გი-ს-მენთ, ოთა-რი ვარ, ვინ?. ზუ-რაბ დარ-ჩი-ა ხარ, რამ შე-გაწუ-ხა ბატონო ზურაბ? რაო, რო-გორ... ჩემი სე-იფი გა-ტე-ხეს. ჩემო ზურაბ როგორც არის ყველაფერი ისე დატოვე დი-ლამდე. დილას ძალიან ადრე მოვალ და ყველაფერს გავარკვევთ. ჰო, ასე ხუთი საათისთვის. აბა შენ იცი ზურაბ. გუშინდელი სმისგან თავი ისე მაქვს გაბრუებული, რომ აზროვნებაც კი არ შემიძლია. ნამეტანი მომივიდა... მაშ ასე დილამდე. ოთარმა ყურმილი დაუკიდარჯანიას. დანარჩენს შემდეგში მოგახსენებთ, მოვდივართ, — ჩაამთავრა ოთარმა საუბარი და ალექსანდრესთან ერთად მანქანით სასწრაფოდ გაემართნენ მილიციის უფროსის გიორგი ნადარეიშვილის ბინისაკენ. ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ ისინი უფროსის ბინაში იყვნენ. პოლკოვნიკი არჩილ დარჯანიაც უკვე მოსულიყო.

მილიციის უფროსიც და მისი მოადგილეც გამოცდილი ჩეკისტები იყვნენ და კარგი რეპუტაციითაც სარგებლობდნენ. ეხლა ორივენი ერთმანეთის გვერდი გვერდს ისხდნენ და დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ ოთარ ხომერიკს.

— ამხანაგებო, ახლა თქვენ ყველაფერი იცით თუ რა ხდება ამჟამად თქვენდამი დაქვემდებარებულ შინაგან საქმეთა განყოფილებაში. პირადად მე, შემდეგნაირადა მაქვს წარმოდგენილი: განყოფილებაში მორიგეობს დარჩია, მან და დავით დიხამინჯიამ წინასწარ შეიმუშავეს მოქმედების გეგმა. თქვენი კაბინეტის გასაღები პლასტელინის მეშვეობით წინასწარ დაამზადებინეს რომელიღაც ხელოსანს. მას შემდეგ როდესაც მე „გამომათვრეს“ რესტორანში და სახლში მიმიყვანეს, შინაგან საქმეთა განყოფილებაში შეიტანეს მაგარი სასმელები და დაათვრეს ის მუშაკები, რომლებიც ახლა იქ იმყოფებიან. მორგებული გასაღებით გაალეს თქვენი კაბინეტის კარები, შემდეგ გახსნეს ჩემი სეიფი, გაეცვნენ ჩემს მიერ შეგროვილ ცნობებს, საბუთებს ჩემს მოსაზრებებს და დასკვნებს, რომ მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების გამომზეურებისა და გამომჟღავნების დრო მოახლოვდა. კვალის დაფარვის მიზნით, გადასწყვიტეს ჩემი თავიდან მოშორება, რაც ამ ღამესვე უნდა განეხორციელებინათ. საქმე იმაში გახლავთ, რომ ზურაბ დარჩიამ ჩემს შინაგან საქმეთა განყოფილებაში მოსვლისთანავე, როგორღაც შეიტყო ჩემი თქვენს კაბინეტში ყოფნა და სეიფის არსებობა. ადვილი შესაძლებელია, რომ მაშინაც ზურაბი მორიგეობდა. ეს მან დავით დიხამინჯიას აცნობა. მათ ეჭვები აღეძრათ და გადაწყვიტეს, რომ ერთობლივად ემოქმედათ. მას შემდეგ, რაც მილიციის მუშაკები გამოათვრეს დავით დიხამინჯია დაიმალა თქვენს კაბინეტში, იარაღით ფარდის ან კარადის უკან, შემდეგ მე დამირეკეს და შემატყობინეს სეიფის გატეხვის შესახებ. იმათი ვარაუდით მე, რომ მოვიდოდი ზურაბი შემხვდებოდა სამორიგეოში, რომელიც თქვენს კაბინეტში შემიყვანდა, ვითომ და გატეხილი სეიფის სანახავად. შემდგომში კი ყველაფერი ისე დამთავრდებოდა, როგორც მათ ჩაიფიქრეს. რასაკვირველია მათ მეორე და მესამე ვარიანტიც გააანალიზეს: თავს დამსხმოდნენ ბინაში, ან გზაში ავარიის ინსცენირება გაეთამაშებინათ, მაგრამ ეს ვარიანტები მაშინათვე უკუაგდეს. ერთი იმ მიზეზის გამო, რომ ამხანაგ ალექსანდრესი შეეშინდათ და მეორეც იმიტომ, რომ უნებურად ვისმეს არ გადაჰყროდნენ გზაში.

●

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ № 47-5 (1990).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

# კონკურსი საუკეთესო წერილების გამოსავლენად

**გაზეთ** „მებრძოლი გუშაგის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული საუკეთესო წერილების გამოსავლენად, რომლებშიც პრობლემათა სიღრმისეული ანალიზით წარმოჩინდება შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის შუქ-ჩრდილები.

კონკურსის შედეგები შეჯამდება მაისის დასაწყისში და ბეჭდვითი სიტყვის დღეს სამ საუკეთესო ავტორს გადაეცემა ფულადი პრემიები.

მსგავს კონკურსს რედაქცია მიმდინარე წლის მეორე ნახევარშიც გამოაცხადებს. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი რედაქციის შტატგარეშე ავტორთა კონტიგენტის ზრდას, აზრთა პროფესიულ გაზიარებას. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ყოველი წლის ბოლოს ჩვენ თხოვნით მივმართავთ გაზეთის მკითხველებს გაგვიზიარონ თავისი მოსაზრებანი იმის შესახებ თუ როგორი სურთ იხილონ „მებრძოლი გუშაგი“, მაგრამ დღემდე არ მიგვიღია წერილობითი გამოხმაურება. იმედია წელს მკითხველი უფრო მეტ აქტიურობას გამოიჩენს.

# იცნობ თუ არა შენს ქალაქს?

**დღეს როდესაც სულ უფრო ღვივდება აქამდე თითქოსდა მიყუჩებული სურვილი ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ცოდნისა, გვინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს შევთავაზოთ ახალი რუბრიკა, რომელშიც თბილისის როგორც „სტაჟიან“ მოქალაქეებს, ასევე ახალგაზრდებს ვთავაზობთ რამდენიმე ათეული წლის წინ გადაღებულ ქალაქის ხედებსა და შენობებს. მკითხველებს ვთხოვთ გამოგვიგზავნონ წერილები, სადაც შეძლებისდაგვარად დაასახელებენ თუ სად და რა არის აღბეჭდილი ფოტოზე, როდის არის აშენებული.**

**კონკურსში გამარჯვებულების გვარებს წლის ბოლოს გამოვაცხადებთ და მათ ფასიან საჩუქრებს გადავცემთ.**



ინდექსი 66689
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95--66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95--66-72; 99-1-41-24.
რედაქტორი ა. კოპალაძე
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
უე 09250